ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5794164

ნომერი: AR1872317

თარიღი : 17.01.2022

გაცემის თარიღი : 07.02.2022

გაცნობის თარიღი : 08.02.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარუხის გმირები , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ზატუაშვილი პ/ნ 01024005415
- თბილისი მ.კოსტავას II შეს. N 5ა ბ. 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 ივნისის №5478301 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 17 იანვარს №AR1872317 განცხადებით მომართა ზურაბ ზატუაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 29

ივნისის №5478301 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, სამსახურის 2021 წლის 29 ივნისის №5478301 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მარუხის გმირების ქუჩა №9-ში მდებარე №01.14.11.058.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 29 ივნისიდან 2022 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 29 ივნისის №5478301 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 719.8 კვ.მ-ის ნაცვლად 654.3 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 132.6 კვ.მ-ის ნაცვლად 122.8 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 230.6 კვ.მ-ის ნაცვლად 150.4 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 531.8 კვ.მ-ის ნაცვლად 485.0 კვ.მ-ის დაფიქსირებას. აღნიშნული მითითებულ იქნა გეგმების ექსპლიკაციაზე.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეცვლილი ტექნიკურ –ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, ხდება მხოლოდ აღნიშნულ არქიტექტურულ გეგმებზე ფართობების დაზუსტება. აგრეთვე, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების შესწორების შედეგად საპროექტო შენობის საერთო ფართობი 1614.8 კვ.მ-ის ნაცვლად იქნება 1412.5 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 ივნისის №5478301 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 ივნისის №5478301 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 654.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 122.8 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 150.4 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 485.0 კვ.მ., საერთო ფართობად - 1412.5 კვ.მ.
2. სამსახურის 2021 წლის 29 ივნისის №5478301 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 ივნისის №5478301 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 ივნისის №5478301 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.